

2008

საქართველოს პრეზიდენტის სამშვიდობო ინიციატივა, 2008 წლის 28 მარტი.

საქართველოს პრეზიდენტის სამშვიდობო ინიციატივა

2008 წლის 28 მარტი

საქართველოს უპირველესი მიზანია აფხაზეთში (საქართველო) კონფლიქტის მოგვარება. ამ სულისკვეთებით საქართველოს პრეზიდენტი რამდენიმე ინიციატივით გამოვიდა, რომლებიც მიზნად ისახავს აფხაზეთში (საქართველო) კონფლიქტის მშვიდობიანი, პოლიტიკური გზით გადაჭრის დაჩქარებას. პრეზიდენტის სამშვიდობო ინიციატივა განსაზღვრავს პოლიტიკის ძირითად პრიორიტეტებს და მთავარ ინიციატივებს, როგორც ეს ქვემოთაა მოცემული:

1. საქართველოს პრეზიდენტის წინადადების შესაბამისად მოლაპარაკებების დაწყება “ფართო ავტონომიის” შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს აფხაზეთის სრულმასშტაბიან თვითმმართველობას;

2. განსაკუთრებით, მოლაპარაკებების დაწყება პრეზიდენტის მიერ შემოთავაზებულ შემდეგ წინადადებებზე:

ა. აფხაზეთის წარმომადგენლისთვის საქართველოს ვიცე პრეზიდენტის თანამდებობის შემოღება კონსტიტუციით;

ბ. აფხაზეთის მონაწილეობის უზრუნველყოფა საქართველოს ყველა სამთავრობო სამინისტროში და სახელმწიფო უწყებაში;

გ. აფხაზეთისთვის ვეტოს უფლების მინიჭება ყველა გადაწყვეტილებაზე, რომლებიც ეხება:

- აფხაზეთის კონსტიტუციურ სტატუსს, და

- აფხაზეთის კულტურის, ენის და ეთნიკური თვითმყოფადობის დაცვას და მომავალ განვითარებას;

დ. თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნა და ერთობლივი მართვა გალის და ოჩამჩირის რაიონებში;

ე. უსაფრთხოების გარანტიების უზრუნველყოფა;

ვ. სამართალდამცავი ორგანოებისა და საბაჟო სამსახურების თანდათანობითი შერწყმა;

ზ. საერთაშორისო თანამეგობრობის ჩართვა აფხაზეთში პოლიტიკური მოვლენების მშვიდობიანად განვითარების გარანტიების უზრუნველყოფაში;

3. მოლაპარაკებების დაწყება საქართველოს პრეზიდენტის დამატებით წინადადებებზე:

ა. საქართველოს სამინისტროებში შექმნილია აფხაზეთის საკითხებზე სამუშაო ჯგუფები:

- სამართლებრივი ჯგუფი – კონსტიტუციური და საკანონმდებლო ცვლილებების, მათ შორის, ვიცე პრეზიდენტის თანამდებობის შემოღება, ვეტოს უფლება, სამინისტროებში წარმომადგენლობის გარანტიები, პარლამენტში წარმომადგენლობის გარანტიები;

- ეკონომიკური ჯგუფი – გალისა და ოჩამჩირის რაიონებში თავისუფალი ეკონომიკური ზონების შემუშავებისა და ჩამოყალიბებისთვის;

- პოლიტიკური ჯგუფი – საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აფხაზეთის ავტონომიის გარანტიების უზრუნველყოფის საკითხებზე მოლაპარაკებებისთვის;

ბ. აფხაზურ მხარესთან პირდაპირი პოლიტიკური დიალოგისა და კონტაქტების გამოცოცხლება, ზემოაღნიშნული საერთაშორისო თანამეგობრობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართვა სამუშაო ჯგუფებში.

4. ყველა ზემოაღნიშნული ქმნის პრინციპების წყებას, აყალიბებს პირდაპირი მოლაპარაკებებისათვის საჭირო ჩარჩოს. იმპლემენტაციის ზოგადი პრინციპების და მექანიზმების შემდგომი მოდიფიცირება შეიძლება მოხდეს ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების მთელი პროცესის განმავლობაში, რომელთა უმთავრესი მიზანი კონფლიქტის მშვიდობიანი და ყოველმხრივი მოგვარებაა.

([http://www.report.smr.gov.ge/GoG /](http://www.report.smr.gov.ge/GoG/)